ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე: საზოგადოებრივი კოლეჯი
სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯს სურს განახორციელოს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

| პროგრამები, რომელთა განხორციელების უფლების მოპოვება სურს დაწესებულებას | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა | მისაღები კონტინგენტი | ერთჯერადად მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა |
| 1. | სატყეო საქმე | მეოთხე | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში | 48 | წინამძღვრიანთკარი 30 | 15 |
| | | | | | თიანეთი 20 | 10 |
| 2. | ელექტროობა | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში | 52 | წინამძღვრიანთკარი 30 | 15 |
| | | | | | თიანეთი 20 | 10 |
| 3. | საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი | მეხუთე | საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 99 | წინამძღვრიანთკარი 30 | 15 |
| 4. | ტრაქტორისტ - მემანქანე | მესამე | ტრაქტორისტ-მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 68 | წინამძღვრიანთკარი 20 | 10 |
| 5. | თმის სტილისტი | მესამე | თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 61 | წინამძღვრიანთკარი 30 | 15 |
| 6. | სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი | მესამე | სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 84 | წინამძღვრიანთკარი 30 | 15 |
| სულ | | | | | 210 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....

პროგრამაზე სტუდენტთა მისაღები რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია - კვოტების განსაზღვრის პრინციპები შემუშავებულია ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:**
თამარ შალვაშვილი

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:**
ნინო ძაგანია
თეა შაყულაშვილი

**II. დაწესებულების მისია**

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის, რითაც ხელს შეუწყობს რეგიონის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას.
ამისთვის კოლეჯი:

- ნერგავს თანამედროვე ტექნოლოგიებს;
- ზრუნავს კადრების მუდმივ განვითარებაზე;
- ამყარებს კავშირებს კერძო სექტორთან და უცხოელ პარტნიორებთან;
- ხელს უწყობს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვას.

**I. სტანდარტები**

**1. საგანმანათლებლო პროგრამები**

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

**შეფასება:**

კოლეჯის შინაგანაწესის 27-ე მუხლით განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებაზე (ხარისხის მენეჯერი) და დამტკიცებაზე (დირექტორი) უფლებამოსილი პირები. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამები დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით.

დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მტკიცებულების შეგროვების მიდგომები, შეფასების და სწავლის მეთოდები.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების და დამატებითი შეფასების მექანიზმები, აღწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლში, რომელიც თანხვედრაშია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ პრინციპებთან.

საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რომელთა გარკვეულ ნაწილთან (მინიმუმ ერთი ობიექტი ერთ პროგრამაზე) განხორციელდა ვიზიტი ექსპერტების მიერ და შედგა გასაუბრება კომპანიის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა მზადაა მიიღოს და საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოს კოლეჯის პროფესიული სტუდენტები, ხოლო „თმის სტილისტის“ პროგრამის ერთ-ერთი ობიექტი (სალონი), რომელიც განთავსებულია წინამძღვრიანთკარის გამგეობის შენობაში არ შეესაბამება მოდულით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

| პროგრამა | ორგანიზაცია | მისამართი |
|---|---|---|
| სატყეო საქმე | ფიზიკური პირი გიორგი ბექაური | მცხეთის რაიონი სოფ. წინამძღვრიანთკარი |
| | სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“ | თბილისი, გ. გულუას N6 |
| ელექტროობა | ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯია“ | თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N1 |
| საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი | ფიზიკური პირი ხვიჩა ჯავახიშვილი | თბილისი, თემქა. კვ.4, კორპ-9ბ, ბინა 41 |
| | სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“ | მცხეთა, სოფ. საგურამო |
| ტრაქტორისტ - მემანქანე | შპს „მექნიზატორი“ | ქ. თბილისი, ისნის რ-ნი, ზემო ალექსეევკა, ნაკვ. 002/027 |
| თმის სტილისტი | ინდ. მეწარმე ჟანეტა გაგილაძე | თბილისი დიღმის მასივი 4-ე კვ. კ.13 მიმდებარე ტერიტორია |
| | ინდ. მეწარმე ირმა გუბელაძე | მცხეთის რ-ნი, სოფ. გალავანი |
| | მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ხათუნა კოშაძე | ქ. მცხეთა, მრევლიშვილის N12 |
| სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი | შპს „სამკერვალო მაუდი“ | თბილისი, წერეთლის გამზ. N140 |
| | შპს „უნიფორმა და უსაფრთხოება“ | ქ. თბილისი, მექანიზაციის ქ. N1 |
| | შპს „ჰასკო +“ | ქ. თბილისი, რატევანის ქ. N11 |
| | შპს „კუწურიე ი.მ.ს“ | ქ. თბილისი, პეკინის გამზ. N2 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არცერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე არ აღემატება 40 ასტრონომიულ საათს, ხოლო სასწავლო გეგმები აგებულია პროგრამის შემადგენელი მოდულის/მოდულების წინაპირობების დაცვით, გარდა ქართული ენის მოდულის/მოდულებისა.

**კოლეჯში ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა შესაბამისი სტრუქტურის წარმომადგენლებთან გასაუბრება, რომელთაც ეცნობათ შემდეგი ტიპის იდენტიფიცირებული ხარვეზების შესახებ და ვიზიტის დროს იქნა დაკორექტირებული:**

- **სასწავლო გეგმებში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის მოდულის/მოდულები განხორციელება დაიგეგმა სხვა მოდულების დაწყებამდე;**
- **სამოქალაქო განათლების მოდულის საათების განაწილების სქემაში შესწორდა საათების ჯამური რაოდენობები;**
- **პროგრამაში მკაფიოდ განისაზღვრა პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა ქართულის ენის მოდულის/მოდულების გათვალისწინებით და მათ გარეშე;**
- **პროგრამაში მიეთითა მოდულებში გამორჩენილი განხორციელების ადგილები;**
- **უცხოური ენის მოდულში მიეთითა გამორჩენილი სასწავლო რესურსი (ლიტერატურა);**
- **პროგრამების დამტკიცების აქტის ნომერთან ერთად მიეთითა აქტის გამოცემის თარიღი.**

დასტურდება:

- კოლეჯის დირექტორის 2015 წლის N04-39 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამებით;
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 04-46 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამებით (ცვლილებები განხორციელდა 2017 წლის N04-65 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის 2017 წლის N04-66 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული პროგრამებით;
- დირექტორის 2017 წლის N04-69 დამტკიცებული პროფესიული პროგრამით;
- დირექტორის 2017 წლის N04-68 და N04-70 ბრძანებებით განხორციელებული ცვლილებებით;
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის N04-40 ბრძანების დანართი 5-ით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და დანართი 8-ით დამტკიცებული შინაგანაწესი;
- საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული მემორანდუმები;
- შერჩევითი ვიზიტები საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში;
- ინტერვიურება.

**1.1 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული არცერთ პროგრამაზე.**

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

შეფასება:
დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელშიც მოცემულია დირექტორის მიმართვა, დაწესებულების მისია, ისტორია, საკონტაქტო ინფორმაცია, კოლეჯის პარტნიორების შესახებ ინფორმაცია, პროფესიული პროგრამების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ მისანიჭებელი კვალიფიკაციები, პროგრამის მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, სტუდენტთა შეფასების წესი. ასევე, კატალოგი მოიცავს ინფორმაციას (ანონსირება) პროგრამის დამატების შესახებ.
დასტურდება:

1. საიტზე განთავსებული კატალოგი;
2. ბეჭდური კატალოგი.

**1.2 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული არცერთ პროგრამაზე.**

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

შეფასება:
დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები სრულად შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

დასტურდება:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

**1.3. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული არცერთ პროგრამაზე.**

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

შეფასება:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების და არაფორმარული განათლების აღიარების წესებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დასტურდება:
სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის N04-40 ბრძანების დანართი 5-ით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

**1.4. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული არცერთ პროგრამაზე.**

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:
სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის მე-7 მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

დასტურდება:
1. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის N04-40 ბრძანების დანართი 5-ით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

**1.5. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული არცერთ პროგრამაზე.**

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:
კოლეჯს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა, კოლეჯში ასევე ფუნქციონირებს მოდულური პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც პროგრამის განხორციელების შეფასებას ახდენს სპეციალურად შექმნილი კითხვარებით.

დასტურდება:
1. სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა;
2. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;
3. შემუშავებული კითხვარები.

**1.6. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული არცერთ პროგრამაზე.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

## II. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

შეფასება:

**მცხეთის რ-ნი , სოფელი წინამძღვრიანთკარი.**

<u>**დამატებითი ფართები:**</u>

**დაბა სტეფანწმინდა**

**დაბა თიანეთი, რუსთაველის N21**

**სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის სარგებლობაშია მცხეთის რაიონის სოფელს წინამძღვრიანთკარში მდებარე** 196172 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა ნაგებობით, მათ შორის ძირითადი სასწავლო კორპუსი- საერთო ფართით 4062,76 კვ.მ. ,მათ შორის სარდაფი 736,6 კვ.მ. I სართული 1050,36 კვ.მ. II სართული - 1199,8 კვ.მ. , III სართული 1076, 3 კვ.მ. მეფუტკრის სახელოსნო ფართით 153.56 კვ.მ.

**სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის** სარგებლობაშია ასევე დაბა სტეფანწმინდაში არსებული სასწავლო ფართი 361,66 კვ.მ. +სარდაფი 250,9 კვ.მ.

**სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის** სარგებლობაშია დაბა თიანეთში რუსთაველის ქუჩა 21-ში მდებარე სასწავლო ფართი 1642.56 კვ.მ.

| მისამართი | კვ.მ. |
|---|---|
| **სასწავლო კორპუსი** | 4062,76 კვ.მ. |
| მეფუტკრის სახელოსნი | 153.56 კვ.მ. |
| დაბა სტეფანწმინდის სასწავლო ფართი | 361,66 კვ.მ. |
| დაბა თიანეთის სასწავლო ფართი | 1642.56 კვ.მ. |

დასტურდება:

საჯარო რეესტრის ამონაწერებით.

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

შეფასება:

ექსპერტების მიერ მოხდა კოლეჯის მისამართებზე დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის გამოყოფილი ყველა აუდიტორიის ვიზუალური დათვალიერება: კოლეჯს აქვს A, B და C (სახელოსნოები) ტიპის აუდიტორიები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო ფართი (სამივე მისამართზე) რეაბილიტირებული და მოწესრიგებულია და იძლევა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისთვის ჩატარების საშუალებას მისაღები სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. ცენტრში წარმოდგენილი აღჭურვილობის შეძენის დამდასტურებელი დოკუმენტებზე კოლეჯის უფლებამოსილმა პირმა წარმოგვიდგინა დამატებით შეძენილი აღჭურვილობის დოკუმენტები. ხოლო დარჩენილ აღჭურვილობის ნაწილზე კოლეჯს გამოცხადებული აქვს ტენდერები, რომლის დამდასტურებელი დოკუმენტები დასკვნას ახლავს დანართის სახით.

დასტურდება:

1. შესყიდვის ხელშეკრულებები;
2. მიღება - ჩაბარების აქტები;
3. ვიზუალური დათვალიერება;
4. სატენდერო დოკუმენტები.

**2.1 ქვესტანდარტი დარღვეული არ არის არცერთ პროგრამაზე.**

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

შეფასება:
კოლეჯის სასწავლო ფართზე უზრუნველყოფილია ელექტრო ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, მოწესრიგებულია სველი წერტილები, არსებობს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა.

დასტურდება:

1. ს.ს. ,,ენერგო-პრო ჯორჯიასთან" გაფორმებული ხელშეკრულება (N338-1/7-9. 29 ოქტომბერი 2008 წ.);
2. შპს „სოკარ-ჯორჯია გაზთან" გაფორმებული ხელშეკრულება (N1, 03.01.2015 წელი);
3. წყლის მიწოდების ხელშეკრულება N3576. 05.01.2015.
4. ვიზუალური დათვალიერება.

**2.2 ქვესტანდარტი დარღვეული არ არის არცერთ პროგრამაზე.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას.

შეფასება:
დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (ბეჭდური და ელექტრონული რესურსები) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

**ექსპერტების მიერ დაწესებულებისთვის მიცემული რეკომენდაცია, რომელიც გათვალისწინებულ იქნა წინამძღვრიანთკარის მისამართზე ვიზიტის ფარგლებში: ბიბლიოთეკაში დაცული სასწავლო რესურსი (ელექტრონული ფორმით არსებული მასალა) დატანილი იქნა ელექტრონულ მატარებლებზე (CD/DVD), დაინომრა და აღირიცხა საბიბლიოთეკო წესით. გაიხსნა ელექტრონული ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა აღრიცხვის ჟურნალი.**
**ზემოაღნიშნული წარმოადგენს რეკომენდაციას თიანეთის და სტეფანწმინდის მისამართებისთვის.**

დასტურდება:
1. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
2. ბიბლიოთეკის კატალოგი;
3. ვიზუალური დათვალიერება და პერსონალთან გასაუბრება;
4. ვებ გვერდი.

**2.3 ქვესტანდარტი დარღვეული არ არის არცერთ პროგრამაზე.**

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

შეფასება:
კოლეჯისა აუდიტორიები, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები უზრუნველყოფილია პერსონალური კომპიუტერებით. დაწესებულებას აქვს ვებ გვერდი და ელექტრონული ფოსტა. დაწესებულების სამივე სამართის ფართი უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტით.

დასტურდება:
1. მიღება - ჩაბარების აქტებით;
2. მომსახურების ხელშეკრულებებით;
3. ვიზუალური დათვალიერება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

**2.4 ქვესტანდარტი დარღვეული არ არის არცერთ პროგრამაზე.**

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

შეფასება:
კოლეჯში იწარმოება ბრძანებების რეგისტრაციის, ხელშეკრულებების რეგისტრაციის და მატერიალური სახით შემოსული წერილების რეგისტრაციის ჟურნალები. დაწესებულება სარგებლობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (e-flow) სისტემით.

დასტურდება:
1. წარმოებული ჟურნალები;
2. ელექტრონული სისტემა.

**2.5 ქვესტანდარტი დარღვეული არ არის არცერთ პროგრამაზე.**

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:
კოლეჯის ძირითადი და დამატებითი სასწავლო ფართები აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით და ინვენტარით.
სამივე სასწავლო ფართზე ევაკუაციის გეგმები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.
კოლეჯს აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო პუნქტი, ყავს მედდა, როგორც ძირითად ასევე დამატებით სასწავლო ფართებზე.
კოლეჯს გაფორმებული აქვს მომსახურეობის ხელშეკრულება სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა - მთიანეთის რეგიონული დაცვის პოლიციის სამმართველოსთან. ასევე ფილიალებისთვის დარაჯის პოზიციებზე კოლეჯს გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები.

დასტურდება:
1. შრომითი ხელშეკრულებებით;
2. მომსახურების ხელშეკრულებით;
3. მიღება - ჩაბარების აქტებით;
4. ვიზუალური დათვალიერება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

**2.6 ქვესტანდარტი დარღვეული არ არის არცერთ პროგრამაზე.**

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

შეფასება:
კოლეჯს შშმ პროფესიულ სტუდენტთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის მისამართზე კიბეებზე დამონტაჟებული აქვს სპეციალური რელსები.
ასევე სამივე მისამართზე მოწესრიგებულია სსსმ პროფესიულ სტუდენტთათვის ადაპტირებული სველი წერტილები.
იგეგმება ლიფტის მოწყობა, რისთვისაც კოლეჯს აქვს ლიფტის პროექტი.

დაწესებულება განმარტავს, რომ ლიფტის პროქტის შესრულებამდე გადაადგილებაში დახმარების საჭიროების სტუდენტთათვის აუდიტორიების გადანაცვლების გზით პროგრამას განახორციელებს პირველ სართულზე.

დასტურდება:
1. ლიფტის პროექტი;
2. ვიზუალური დათვალიერება და ინტერვიურება.

**2.7 ქვესტანდარტი დარღვეული არ არის არცერთ პროგრამაზე.**

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

შეფასება:
კოლეჯის ვებ-გვერდი tmk.edu.ge ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო (ვებ გვერდიდან შესაძლებელია კოლეჯისთვის შეტყობინების გაგზავნა) ფუნქციას, მასზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მისია, ისტორია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პროგრამების კატალოგი,

ასევე, კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად. აღსანიშნავია, რომ კოლეჯს ვებ გვერდი ნაწილობრივ მოცემულია ასევე ინგლისურ და რუსულ ენებზე.

დასტურდება:
1. ვებ - გვერდით;
2. შპს „პროსერვისთან„ გაფორმებული ჰოსტინგის მომსახურების ხელშეკრულებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

**2.8 ქვესტანდარტი დარღვეული არ არის არცერთ პროგრამაზე.**

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

შეფასება:
კოლეჯს შემუშავებული აქვს 2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც ასევე მოიცავს 2016 და 2017 წლების ერთწლიან სამოქმედო გეგმებს. სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია დაწესებულების swot ანალიზის საფუძველზე და ასევე, მოიცავს ხედვასა და ღირებულებებს, მიზნებს, მატერიალური რესურსის გამოყენების მექანიზმებს, ადამიანური რესურსის განვითარების საშუალებებს, სტუდენტთა მოზიდვის სტრატეგიებს, კერძო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობებს.

დასტურდება:
2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმა.

**2.9 ქვესტანდარტი დარღვეული არ არის არცერთ პროგრამაზე.**

**III. ადამიანური რესურსი**

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

შეფასება:
დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება:
1. პირადი საქმეები.

**3.1 ქვესტანდარტი დარღვეული არ არის არცერთ პროგრამაზე.**

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

შეფასება:
საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული მასწავლებლების მიერ. ორი პროგრამის პროფესიული განათლების ორ წამყვან მასწავლებელს, რომლებიც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

ახორციელებენ რამდენიმე მოდულს, პირადი საქმის შემადგენლობაში არ იძებნება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც არ წარმოადგენს კანონის დარღვევას, თუმცა კოლეჯის მხრიდან ირღვევა მისივე შემუშავებული წესი დასაქმებულის პირადი საქმის წარმოების შესახებ.

დასტურდება:
პირადი საქმეები.

**3.2 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული არცერთ პროგრამაზე.**

**3.3** დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა.

შეფასება:
კოლეჯში ამჟამად სწავლობს 33 პროფესიული სტუდენტი.
ცენტრში წარმოდგენის შემდეგ თანაფარდობის ნაწილში განხორციელებულია ცვლილება და ამ ჯამად შემდეგნაირია: პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა თანაფარდობა - 33/57.

დასტურდება:

1. საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრი;
2. პროგრამის დანართები განმახორციელებელი პერსონალის შესახებ.

**3.3 ქვესტანდარტი დარღვეული არ არის არცერთ პროგრამაზე.**

**3.4** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შეფასება:
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დასტურდება:
1. პირადი საქმეები (ხელშეკრულებები).

**3.4 ქვესტანდარტი დარღვეული არ არის არცერთ პროგრამაზე.**

**სამივე სტანდარტის ყველა ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის და სასწავლო პროცესის რეგულირებასთან დაკავშირებული სხვა აქტების სატიტულო ფურცელი დამტკიცების აქტის ნომერთან ერთად შეიცავდეს აქტის გამოცემის თარიღს;
- პროგრამის შემადგენელი მოდულების სატიტულო ფურცელზე სასურველია პროგრამასთან ერთად მიეთითოს მოდულის დასახელება;
- არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების გაცდენების შესახებ სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში დაემატოს პუნქტი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირების შესახებ;
- პარტნიორ ფიზიკურ პირებთან გაფორმებული მემორანდუმები სასურველია შეიცავდეს დაზუსტებულ ინფორმაციას პარტნიორის შესახებ;
- სასურველია პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს პროგრამის ხელმძღვანელები;
- სასურველია დაწესებულებამ ისარგებლოს საშვთა სისტემით და ასევე ვიდეოსათვალთვალო კამერებით;
- სამივე მისამართის ბიბლიოთეკარის პოზიციაზე დანიშნულმა პირებმა სასურველია გაიარონ სპეციალური გადამზადების კურსები;
- დაწესებულებამ სასურველია ჩაატაროს შიდა ტრენინგი ახლადაყვანილი მასწავლებლებისათვის მოდულური პროგრამების განხორციელების პრინციპების შესახებ ინფორმირების მიზნით;
- სტუდენტისთვის მიერ მობილობის უფლებით სარგებლობის შემთხვევაში პროგრამის შეცვლისას სასურველია სტუდენტი ინფორმირებული იყოს დაფინანსების შესახებ;

**IV. თანდართული დოკუმენტაცია**

ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტები.

| | |
|---|---|
| **თბილისი** | **15.09.17** |
| (შევსების ადგილი) | თარიღი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____